ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2
2018 წლის 15 იანვარი

ქ. ბოლნისი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“, „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მეორე პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობრივი სარგოს ოდენობა და საშტატო ნუსხა დანართი 1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 დეკემბრის №61 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 24/12/2015 წ., 010250020.35.158.016271).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **თამაზ ჟორჟოლიანი**

დანართი 1

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მუხლი 1. პოლიტიკური თანამდებობის პირები		**რაოდენობა**	**თანამდებობრივი სარგო**
1.	საკრებულოს თავმჯდომარე	1	3950
2.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1	3100
3.	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	2950
4.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	3	2950
5.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	4	1600
პროფესიული საჯაერო მოხელეები			
მუხლი 2. საკრებულოს აპარატი			
პირველი რანგი			
1.	აპარატის უფროსი	1	2300

	მესამე რანგი		
2.	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	1100
3.	II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3	1000
4.	III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3	900